# საქართველოს ორგანული კანონი

**„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ამ კანონის XIII[1] თავით დადგენილი წესით განიხილავს საჩივარს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, ამ კანონის XIII[1] თავითა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, ხოლო ამ კანონის XIII[1] თავითა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით – საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე.“.

2. 75[54] მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სადისციპლინო კოლეგიის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სადისციპლინო პალატა ადვოკატის საჩივარს განიხილავს ამ მუხლით, ამ კანონის 75[55]–75[68] მუხლებითა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35[1] მუხლით დადგენილი წესით, ხოლო მედიატორის საჩივარს – ამ მუხლით, ამ კანონის 75[55]–75[68] მუხლებითა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 15[2] მუხლით დადგენილი წესით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **მიხეილ ყაველაშვილი**

**თბილისი,**

**9 დეკემბერი 2025 წ.**

**N1160-IVმს-XIმპ**